საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №392

2003 წლის 8 აგვისტო

ქ. თბილისი

„საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის 2000 წლის 29 სექტემბრის №343 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 31 დეკემბრის №567 ბრძანებულების „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების შესახებ" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის 2000 წლის 29 სექტემ ბრის №343 ბრძანებაში „საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების თაობაზე" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 04.10.2000 წ., №90, მუხ. 779) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების თაობაზე".
2. დებულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გენერა ლური ინსპექციის დებულება".
3. დებულების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. სამსახურებრივი მოკვლევის სამმართველოს უფროსს ჰყავს მოადგილეები".
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ. გოგიაშვილი